ხელშეკრულება №01-26/26
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი

14 თებერვალი 2013 წ

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე–3 მუხლის „ა" ქვეპუნქტის, შესაბამისად ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი" (ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ.№46ა) (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა ბერიძის სახით და მეორე მხრივ შპს „კანცელარიის სამყარო" (ქ. ბათუმი აღმაშენებლის ქ. №21) (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმომადგენელი მისი დირექტორის ემზარ მანველიძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. შესყიდვის ობიექტია: ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები (CPV კოდი: 22800000)
1.2. შესყიდვის ობიექტის ოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ფასების ცხრილში (დანართი N1-ში), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
1.3.ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 200.50 (ორასი ლარი და 50 თეთრი) ლარს.
1.4 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და სტანდარტები

2.1.ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.
2.2. მიმწოდებელი იძლევა ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
2.3. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გარეშე.

3. ხელშეკრულებისშესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
3.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი"–ს მთავარი სპეციალისტი-სამეურნეო ნაწილის უფროსი ჯუმბერ აბაშიძე

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, პირობები და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ერთ ეტაპად, საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მისამართის მიხედვით, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების გაფორმებით.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5.3. საქონლის მიღება-ჩაბარებაზე შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი"–ს მთავარი სპეციალისტი-სამეურნეო ნაწილის უფროსი ჯუმბერ აბაშიძე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების, წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

7. ფასები

7.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2.ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7.3.ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4.ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.5. საქართველოს სამოქალაქოკოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინანსწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება,რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით,რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1.მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

10 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
10.2. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
10.3. იმ შემთხვევაში, თუვადების გადაცილებით გადახდილი (ანგადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე.

11.ფორს მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3.ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებები სშესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები,რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13.გამოყენებული სამართალი

13.1.ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2013 წლის 1 მარტის ჩათვლით.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგ ან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი- მიმწოდებლს, ხოლო ორი ეგზემპლარი-შემსყიდველს). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი''
მის: ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. №46
სს ,,ლიბერთი ბანკი''
ანგარიშის ნომერი
GE88LB0121162303587000
საიდენტიფიკაციო კოდი 445399391
დირექტორი
გოჩა ბერიძე

"მიმწოდებელი"
შპს „კანცელარიის სამყარო"
მის: ქ. ბათუმი აღმაშენებლის ქ. №21
ს.ს. ,,საქარელოს ბანკი"
ანგარიში ნომერი
GE88BG0000000524880000
საიდენტიფიკაციო კოდი 448384882
დირექტორი
ემზარ მანველიძე

დანართი N1

№	CPV კოდი და დასახელება	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
1	CPV 22800000 ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები	ფაილი	შეკვრა	14	4	56
2		ბლოკნოტი	ცალი	9	3	27
3		რვეული ა-4	ცალი	13	1,5	19,5
4		საქაღალდე ბაინდერი	ცალი	20	3	60
5		სალაროს გასავლის ორდერი	ცალი	10	1	10
6		სალაროს შემოსავლის ორდერი	ცალი	10	1	10
7		სალაროს წიგნი	ცალი	1	9	9
8		მთ. წიგნი	ცალი	1	9	9
	ჯამი		ლარი			200.50

შემსყიდველი:

გოჩა ბერიძე

მიმწოდებელი:

ემზარ მანველიძე

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი

14.02.2013 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის" მიერ ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთების (CPV 28800000) შესყიდვის განხორციელებაში, შპს „კანცელარიის სამყარო"–ს მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის"

დირექტორი

გოჩა ბერიძე